



№1-25/07

17/05/2021

რეცენზია

კლინიკური პრაქტიკის სტანდარტის/პროტოკოლის თაობაზე

ბრონქული ასთმის მართვა პირველად ჯანდაცვაში

საქართველოს საოჯახო მედიცინის ასოციაციის რეცენზირებისთვის წარედგინა პროტოკოლი „ბრონქული ასთმის მართვა პირველად ჯანდაცვაში“, რომელიც შემუშავებულია საქართველოში ჩეხეთის კარიტასის (CCR Georgia) მიერ ჩეხეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარე „პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში.

ბრონქული ასთმა მსოფლიოში გავრცელებული ერთ-ერთი ქრონიკული პათოლოგიაა, რომელიც საზოგადოების სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ასთმით ავადდება ყველა ასაკის ადამიანი, ხშირ შემთხვევაში ასთმა მძიმედ მიმდინარეობს და ზოგჯერ, ფატალურადაც. საშუალო მონაცემებით, ასთმის სიხშირე 3.7-25.5%-მდე მერყეობს, სხვადასხვა ქვეყანაში. პირველად ჯანდაცვას უპირობოდ წამყვანი როლი ეკუთვნის ასთმის დროული გამოვლენის, დიაგნოსტიკისა და ადეკვატური მართვის მიმართულებით, ამდენად, საერთაშორისო მტკიცებულებებზე დაფუძნებული სახელმძღვანელოს არსებობა ოჯახის ექიმებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

პროტოკოლის ავტორთა ჯგუფის მიერ დოკუმენტის შემუშავების საფუძველი გახდა ბრონქული ასთმის ამბულატორიული მართვის 2014 წელს დამტკიცებული ეროვნული პროტოკოლის განახლების აუცილებლობა. ბოლო წლების მანძილზე ასთმის შეფასებაში, დიაგნოსტიკასა და მართვაში დაგროვდა ახალი მტკიცებულებები, რომელთა ასახვაც აუცილებელი გახდა განახლებულ ეროვნულ პროტოკოლში.

წარმოდგენილი პროტოკოლი ეყრდნობა ძირითადად, ასთმის გლობალური ინიციატივის 2020 წლის (GINA-2020) გაიდლაინს, მასში ასევე გამოყენებულია ამერიკის გულის, ფილტვისა და სისხლის ეროვნული ინსტიტუტის (NIH) ასთმის მართვის 2020 წლის ფოკუსირებულად განახლებული გაიდლაინის რეკომენდაციები, uptodate-ს მონაცემები, ასევე, მსგავს თემაზე სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო წყაროების მტკიცებულებები.

პროტოკოლში ავტორთა მიერ ნათლად არის ჩამოყალიბებული მისი დანერგვის შედეგად მოსალოდნელი პრაქტიკული სარგებელი, ბრონქული ასთმის მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

ცალკე არის გამოყოფილი ძირითადი განახლებები, რომლებიც განხორციელდა ასთმის მართვის რეკომენდაციებში, ბოლო წლების განმავლობაში. რეკომენდაციებში ასახულია რჩევები ასთმის მართვასთან დაკავშირებით COVID-19 პანდემიის პირობებში, რომლებიც ძირითადად ფოკუსირებულია სამედიცინო პერსონალისა და პაციენტების უსაფრთხოების საკითხებზე, დღეისათვის არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

ძირითადი სიახლეები, რომლებიც შეეხება ბრონქული ასთმის მართვას და ხაზგასმულია წარმოდგენილ პროტოკოლში, შეეხება ახალ მტკიცებულებებს SABA-თი მონოთერაპიის საწინააღმდეგოდ, საჭიროებისამებრ ICS/ფორმოტეროლის გამოყენებას მსუბუქი ასთმის დროს, FDA-ს გაფრთხილებას 2020 წლის მარტში მონტელუკასტის სერიოზული ნეიროფსიქიკური გვერდითი ეფექტების შესახებ, პაციენტებს ერთდროულად ასთმითა და ფქოდ-ით - აგრეთვე ცნობილი „ასთმა-ფქოდ-ის ურთიერთგადაფარვის“ ან „ასთმა + ფქოდ“-ის სახელით. ამ სიახლეებზე პროტოკოლი იძლევა მკაფიო, თანმიმდევრულ რეკომენდაციებს, რაც პრაქტიკოსი ექიმებისთვის მარტივად დასანერგია ყოველდღიურ კლინიკურ პრაქტიკაში.

ასევე, აღსანიშნავია დაავადების საფეხურებრივი მკურნალობის სქემები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, გამწვავების მართვის ალგორითმები ბინისა და ამბულატორიის პირობებში, ასთმის კონტროლის შესაფასებელი ტესტები და ასთმის სამოქმედო გეგმის ნიმუში, რომელიც პროტოკოლში წარმოდგენილია დანართის სახით და განსაკუთრებული ღირებულება გააჩნია პრაქტიკული თვალსაზრისით, ასთმით დაავადებული პაციენტების თვითმართვის შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროტოკოლი ხელს შეუწყობს პირველადი ჯანდაცვის ქსელში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალს ასთმის გამოვლენის, დიაგნოსტიკისა და სწორი მკურნალობის თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ, შეამცირებს ასთმასთან დაკავშირებულ ავადობას, ჰოსპიტალიზაციას, სიკვდილობას და მძიმე ასთმის მართვასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. შესაბამისად, დოკუმენტი, მისი ამომწურავი შინაარსის გამო, უნდა შეფასდეს დადებითად და რეკომენდაციას ვუწევ პროტოკოლის დამტკიცებას, წარმოდგენილი ფორმით.

პატივისცემით,

ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ “საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის” პრეზიდენტი

